ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

III ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. ვინ დააარსა ქალაქ ბიზანტიონის ადგილას რომის იმპერიის ახალი დედაქალაქი IV საუკუნეში?

ა) დიოკლეტიანემ;

ბ) თეოდოსიუს დიდმა;

გ) ჰონორიუსმა;

დ) კონსტანტინე დიდმა.

(1) 2. რა მოიმოქმედა რომის პაპმა ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის დაწყების საპასუხოდ?

ა) მხარი არ დაუჭირა ხატმებრძოლეობას, საჯაროდ შეაჩვენა იმპერატორი და მისი მომხრეები;

ბ) არ გაამჟღავნა საკუთარი პოზიცია, რადგან ეშინოდა ბიზანტიის მოკავშირე ნორმანების თავდასხმების;

გ) მხარი დაუჭირა იმპერატორის პოზიციას, თუმცა მოითხოვა მის დაქვემდებარებაში მყოფი სასულიერო პირების ხელშეუხებლობა;

დ) ისარგებლა ბიზანტიაში გამოწვეული შინაარსლილობით და ჩრდილოეთ აფრიკაში საკუთარი გავლენის გაფართოება დაიწყო.

(1) **3. რომელი ინფორმაციაა მართებული აფხაზთა სამეფოს შესახებ?**

ა) სერგი ბარნუკისძემ სპარსული გარნიზონების დახმარებით მმართველობა ხელში ჩაიგდო;

ბ) თეოდოსიმ დაიხმარა ბიზანტიელები, დაამარცხა სხვა ერისთავები და სამეფო ტახტი დაიკავა;

გ) ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით და თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა;

დ) ერისთავმა იოანე მარუშისძემ ისარგებლა არაბთა დასუსტებით და ტახტზე კონსტანტინე III დასვა.

(1) **4. რომელი ინფორმაციაა მართებული საღვთო რომის იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ X საუკუნეში?**

ა) ოტო I, რომელიც თავს რომის სახელმწიფოს მემკვიდრედ თვლიდა, რომში იმპერატორად ეკურთხა;

ბ) ლეოპოლდ I-მა ისარგებლა ფრანკთა იმპერიის დაშლით და იმავე წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა;

გ) საღვთო რომის იმპერიის მთავრებმა რომის პაპთან დაპირისპირების გამო ფრიდრიხ I თავად აირჩიეს იმპერატორად;

დ) მაქსიმილიან I-მა პაპის ოლქის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, ხოლო პაპმა სამაგიეროდ იმპერატორად აკურთხა.

(1) **5. რა დათმობაზე მოუწია წასვლა თამარ მეფეს მმართველობის დასაწყისში დიდებულთა მოთხოვნის საპასუხოდ?**

ა) გადააყენა გიორგი III-ის მიერ ერთგულებისთვის დაწინაურებული დაბალი სოციალური წარმომავლობის პირები;

ბ) დათანხმდა შექმნილიყო საკანონმდებლო ორგანო - კარავი, სადაც გადაწყვეტილებებს დიდებულები მიიღებდნენ;

გ) გააუქმა კრების დადგენილების - ძეგლისწერის მუხლები, რომლებიც დიდებულთა უფლებებს ზღუდავდა;

დ) დავით IV-ის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაღები აყარა მიწებიდან, რომლებიც მემკვიდრეობით საკუთრებაში გადასცა ფეოდალებს.

(1) **6. რომელი მსჯელობაა მართებული თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ?**

ა) დაცარიელებული ხაზინის შესავსებად სამეფო კარმა საეკლესიო მიწების გაყიდვა დაიწყო, რამაც მეფესა და ეკლესიას შორის დაპირისპირება გამოიწვია;

ბ) ქვეყანას შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოსთან მოუწია დაპირისპირება, რომელთანაც ბრძოლაში ორი მეფე დაიღუპა;

გ) დასუსტებულმა სამეფო კარმა ვეღარ შეძლო ქვეყნის დაცვა და იძულებული გახდა სელჩუკთა სახელმწიფოს მოხარკეობას დათანხმებოდა;

დ) ქვეყანაში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა და გლეხთა დიდი აჯანყება გამოიწვია.

(1) 7. რომელი მსჯელობაა მართებული ქართლის მეფის, სიმონ I-ის მოღვაწეობის შესახებ?

ა) როგორც ოსმალეთის ვასალი, ყიზილბაშთა წინააღმდეგ იბრძოდა, სანაცვლოდ კი, სულთანმა ახალციხის საფაშო გადასცა სამართავად;

ბ) ქართველ მეფეთა შორის პირველმა გაგზავნა ელჩობა რუსეთში და ქართლის ციხეებში კაზაკთა რაზმები ჩააყენა;

გ) დაამყარა ურთიერთობა რომის პაპთან და მისივე ინიციატივით დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი იტალიაში;

დ) სხვადასხვა პერიოდში აქტიურად იბრძოდა როგორც ირანელი, ისე ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ.

(1) **8. რომელი მსჯელობა *<u>არ არის</u>* მართებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგების შესახებ?**

ა) ევროპელებმა ამერიკიდან ევროპაში დიდი რაოდენობით ძვირფასი ლითონები გაიტანეს;

ბ) დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ემიგრაცია ევროპის სახელმწიფოებში;

გ) ამერიკის ახლადაღმოჩენილ მიწებზე ევროპელებმა დაიწყეს დასახლება;

დ) ევროპელებმა მათთვის მანამდე უცნობი სასოფლო-სამეურნეო კულტურები საკუთარ ქვეყნებში შეიტანეს.

(1) **9. რომელი მსჯელობაა მართებული რეფორმაციის შესახებ?**

ა) კალვინიზმის აღმოსაფხვრელად ფილიპე II-ს ბრძანებით ესპანეთის ქალაქებში „ბართლომეს ღამის“ სახელწოდებით ცნობილი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს;

ბ) რომის პაპმა პავლე III-მ ქალაქ პერუჯაში საეკლესიო კრება მოიწვია და პროტესტანტებთან მრავალწლიანი დაპირისპირება დაასრულა;

გ) საღვთო რომის იმპერატორი კარლ V მხარს უჭერდა რომის პაპებს ლუთერისა და მისი მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლაში;

დ) ანრი II-ის არაერთი მცდელობის მიუხედავად, საფრანგეთში პროტესტანტიზმის დამკვიდრება მაინც ვერ მოხერხდა.

(1) **10. რა იყო XVII საუკუნის დასასრულს ოსმალეთსა და „საღვთო ლიგას“ შორის მიმდინარე ომის შედეგი?**

ა) ოსმალეთმა სირია და პალესტინა დაიპყრო, ხოლო „საღვთო ლიგის“ წევრ სახელმწიფოებს ხარკის გადახდა დააკისრა;

ბ) თავდაპირველი წარუმატებლობის მიუხედავად, ოსმალეთმა მაინც მოახერხა მალტის დაკავება და კუნძულიდან „საღვთო ლიგის“ ჯარი განდევნა;

გ) ოსმალეთი „საღვთო ლიგასთან“ ომში დამარცხდა და მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა ევროპაში;

დ) „საღვთო ლიგამ“ ომში გამარჯვება მოიპოვა და მცირე აზია სრულად გაათავისუფლა ოსმალეთისგან.

(1) 11. სამხრეთ კავკასიაში არსებული რომელი პოლიტიკური ერთეული დაიკავა რუსეთმა 1826-1828 წლების ომში ირანის დამარცხების შემდეგ?

ა) ახალციხის საფაშო;

ბ) ბათუმის სანჯაყი;

გ) ერევნის სახანო;

დ) დაღესტნის საამირო.

(1) 12. რა მოვლენა ითვლება საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის დასასრულად?

ა) გენერალ ბონაპარტეს მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა;

ბ) ლუი ნაპოლეონის იმპერატორად გამოცხადება;

გ) პრუსიის ჯარის დახმარებით პარიზის კომუნის დამხობა;

დ) ლუი-ფილიპეს მეფედ კურთხევა.

(1) 13. სხვა საკითხებთან ერთად რა მიუთითებდა რუსეთის იმპერიაში არსებულ კრიზისზე XX საუკუნის დასაწყისში?

ა) ტერიტორიების დაკარგვა კარელიასა და ფინეთში;

ბ) წამგებიანი ზავის დადება ავსტრია-უნგრეთთან;

გ) სახალინის დათმობა ჩინეთისთვის;

დ) მარცხი იაპონიასთან ომში.

(1) **14. რა ცვლილება განხორციელდა თურქეთში ათათურქის მმართველობისას?**

ა) არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით;

ბ) ბურსას ნაცვლად დედაქალაქი გახდა იზმირი;

გ) სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა სუნიზმი;

დ) გაუქმდა სახელმწიფოს მმართველის შაჰის თანამდებობა.

(1) **15. რომელი მსჯელობაა მართებული XX საუკუნის 30-იან წლებში გერმანიაში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) მძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარებით ისარგებლეს ექსტრემისტულმა ძალებმა და მალე ქვეყანაში ნაცისტური და კომუნისტური პარტიების ორხელისუფლებიანობა დამყარდა;

ბ) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანაში რევანშისტული ძალები გაძლიერდნენ, რამაც საბოლოოდ ხელისუფლების სათავეში რადიკალურ-მონარქისტული მოძრაობის მოსვლა განაპირობა;

გ) მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გერმანია ყველაზე მეტად დააზარალა და ამან მნიშვნელოვნად განაპირობა არჩევნებზე რესპუბლიკურ-კონსერვატიული პარტიის გამარჯვება;

დ) რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში ნელ-ნელა გაძლიერდა ნაციონალ-სოციალისტური პარტია, რომელმაც საბოლოოდ ერთპარტიული მმართველობა დაამყარა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ფრანკთა ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. პიპინ მოკლეს გამეფება
2. ხლოდვიგის გაქრისტიანება
3. კარლოს მარტელის გამარჯვება პუატიეს ბრძოლაში

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რუსეთში პეტრე I-ის მმართველობის პერიოდში განვითარებული მოვლენები.

1. ლაშქრობა კასპიისპირეთში
2. პოლტავის ბრძოლა
3. სანქტ-პეტერბურგის დაარსება

(1) **18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საბჭოთა კავშირში განვითარებული მოვლენები.**

1. სტალინის კულტის დაგმობა
2. გარდაქმნის ანუ პერესტროიკის წამოწყება
3. ინდუსტრიალიზაციის დაწყება

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ წყაროებში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ტექსტი იხილეთ შემდეგ გვერდზე

1632 წელს პროტესტანტთა არმია კათოლიკეების წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ქალაქ ლიუცენთან შეხვდნენ. დილას პროტესტანტები შეტევაზე გადავიდნენ. ერთ-ერთ ფლანგზე კავალერიისა და მუშკეტერების წინააღმდეგობა დაძლიეს და მათ უკან მყოფ გლეხებსაც იოლად გაუსწორდნენ, რომლებიც იქ კათოლიკეთა მხედართმთავარმა ამ ფლანგზე საკუთარი არმიის სიმცირის შესანიღბად ჩააყენა. სწორედ ამ დროს ბრძოლის ველზე კათოლიკეთა დამხმარე კავალერია შეიჭრა და კავალერიის მეთაურის დაღუპვის მიუხედავად, პროტესტანტები უკუაგდო. მოწინააღმდეგის კონტრშეტევის შესაჩერებლად ბრძოლაში უშუალოდ პროტესტანტთა არმიის მხედართმთავარიც ჩაერთო, თუმცა იგი კათოლიკეებმა მოკლეს. პროტესტანტებმა ვერც მარცხენა ფლანგზე მიაღწიეს წარმატებას, ვერ შეძლეს მტრის წინააღმდეგობის გადალახვა და ლიუცენის აღება. შუადღისათვის მეომარი მხარეები საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ. ხანმოკლე შესვენების შემდეგ პროტესტანტები ისევ გადავიდნენ შეტევაზე. ამჯერად მხედართმთავრობა ბერნჰარდმა იკისრა, რომელმაც ბრძოლაში რეზერვები ჩართო. ბერნჰარდი ნებისმიერ ფასად ცდილობდა დაუფლებოდა ლიუცენს. პროტესტანტებისათვის დასახული ამოცანის მიღწევის საშუალება რომ არ მიეცა, კათოლიკეთა მხედართმთავარმა არც ლიუცენი დაინდო, თუმცა უშედეგოდ, ბერნჰარდმა მაინც აიღო ქალაქი. ამასობაში, კათოლიკეთა მხედართმთავრის ბანაკში მაშველი ჯარი მივიდა, იგი დილემის წინაშე დადგა, გაეგრძელებინა თუ არა ბრძოლა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **19.1.** კონკრეტულად რომელი სახეობის შენაერთებისაგან შედგებოდა პროტესტანტთა არმიის რეზერვი, რომელიც ბრძოლაში მეორე ეტაპზე ჩაერთო.

(1) **19.2.** პროტესტანტთა არმიის რომელმა ფლანგმა მიაღწია დროებით წარმატებას ბრძოლაში თავდაპირველად?

(1) **19.3.** გარდა შეიარაღებული წინააღმდეგობისა, კიდევ რა მოიმოქმედა კათოლიკეთა მხედართმთავარმა, რათა პროტესტანტთა მიერ ქალაქ ლიუცენის აღება არ დაეშვა?

(1) **19.4.** კონკრეტულად რა გადაწყვეტილება მიიღო კათოლიკეთა მხედართმთავარმა მის ბანაკში ბრძოლის მეორე ეტაპზე მაშველი ჯარის მისვლის შემდეგ?

(2) **19.5.** სრულად ჩამოთვალეთ, ვინ მხედართმთავრობდნენ პროტესტანტთა არმიას ბრძოლის მსვლელობისას.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

წარწერა ილუსტრაციაზე ინგლისურად

ევროპა (ზედა მარცხენა კუთხეში),
სტამბული (ზედა მარჯვენა კუთხეში)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **20.1.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომელსაც ილუსტრაციაზე სიმბოლურად განასახიერებს მარჯვენა ფიგურა და რა კონკრეტულმა ისტორიულმა გარემოებამ განაპირობა მისი ამ მდგომარეობაში გამოსახვა?

(2) **20.2.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული მარჯვენა ფიგურის სახით წარმოდგენილი სახელმწიფოს მოქმედება? ილუსტრაციაზე მოცემული რომელი კონკრეტული ინფორმაცია ადასტურებს თქვენს პასუხს?

(1) **20.3.** კონკრეტულად რა სახელწოდებითაა ცნობილი ილუსტრაციაზე სიმბოლურად ასახული ისტორიული მოვლენა?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** რა ეწოდებოდა მწვანედ აღნიშნულ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიული გაფართოებაც რუკაზეა ასახული?

(1) **21.2.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომელმაც რუკის მიხედვით, დაკარგა ტერიტორიის ნაწილი ომში, თუმცა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა?

(2) **21.3.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიები მთლიანად ან ნაწილობრივ, რუკის მიხედვით, წინააღმდეგობის გარეშე დაიპყრო წითლად აღნიშნულმა სახელმწიფომ?

(2) **21.4.** რუკის მიხედვით დაასახელეთ დედაქალაქი, რომელიც ბრძოლის შედეგად დაიკავეს და რომელი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ის?

(2) **21.5.** დაასახელეთ რუკაზე აღნიშნული თავისუფალი ქალაქი და რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც აღმოჩნდა ის 1939 წელს რუკაზე ასახული საომარი მოქმედებების შედეგად?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

22.1 და 22.2 კითხვებზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი და შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

22.3 და 22.4 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

22.5 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალება 22.

ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეებში რომის რესპუბლიკას ომები ჰქონდა კართაგენთან.

კითხვები:

(1) 22.1. დაასახელეთ ამ ომების ერთი კონკრეტული **სოციალურ-ეკონომიკური** მიზეზი.

(1) 22.2. დაასახელეთ ამ ომების ერთი კონკრეტული **პოლიტიკური** შედეგი.

(1) 22.3. დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს ომები, გარდა უშუალოდ გამარჯვებული მხარისა და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 22.4. დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ეს ომები უარყოფითი შედეგის მომტანი, გარდა უშუალოდ დამარცხებული მხარისა და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 22.5. რომის რესპუბლიკის ისტორიაში დაასახელეთ ამ ომების ანალოგიური მოვლენა და მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

დავალება 23. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსს. მოხსენებითი ბარათი კავკასიაში აჯანყების მომზადების შესახებ

კავკასიის რესპუბლიკების ანტიბოლშევიკური ძალები შემდეგნაირად უნდა დავახასიათოთ:

საქართველოს რესპუბლიკა - საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია, რომლის დაქვემდებარებაშიც არის ყოფილი სახალხო გვარდიისა და ჯარის საუკეთესო, ამჟამად დემობილიზებული, ქვედანაყოფები. ასევე, საქართველოს წითელი არმია, რომლის ყველა ქვედანაყოფში არის ეროვნული ცენტრები. დამატებით, წითელი მილიცია. მისი შემადგენლობის 60-დან 85 პროცენტამდე ანტიბოლშევიკურად არის განწყობილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამ ეტაპზე, პირველივე მოწოდებისას საქართველოს ტერიტორიაზე აჯანყებისათვის მზად იქნება 22-25 ათასი ადამიანი. ამავე დროს ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ აჯანყების დაწყებიდან ერთ კვირაში, დახმარების სახით გათვალისწინებული იარაღის მიღების შემთხვევაში, გაორმაგებს თავის შემადგენლობას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა - აჯანყებაში მონაწილე ძალები ანალოგიურია საქართველოსი. გაანგარიშებით, საუბარია 12 ათას შეიარაღებულ ადამიანზე.

სომხეთის რესპუბლიკა - 15 ათასი ადამიანი.

კავკასიის მთიანეთი - 15 ათასი ადამიანი.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

აჯანყებულთა ხელმძღვანელობა თვლის, რომ თურქეთის ნეიტრალიტეტის გარანტიის შემთხვევაში, რაც აუცილებელი პირობაა, ჰყავს მოქმედებისათვის საკმარისი ძალები.

ძალიან მნიშვნელოვანია აჯანყების დაწყების წინ საჭირო იარაღისა და ამუნიციის მიწოდება. ამ დახმარების მიწოდებასთან დაკავშირებით იგულისხმება საფრანგეთი. ბოლშევიკური უღლისაგან კავკასიის გათავისუფლების მთავარი სირთულე მდგომარეობს არა კავკასიის წითელი არმიის განიარაღებაში, არამედ კავკასიის რესპუბლიკების შეიარაღებული ძალებისათვის უცხოური დახმარების მიწოდებასა და დიპლომატიურ საქმიანობაში, რომელიც თურქეთის ნეიტრალიტეტს უზრუნველყოფს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

რაც შეეხება ზემოხსენებული რესპუბლიკების მოსახლეობის განწყობას, ის შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს:

საქართველო - ხალხი განწყობილია ანტირუსულად და ანტიბოლშევიკურად. ამ საკითხში სრულ სოლიდარობას ადასტურებს ადგილზე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, გარდა ერთი მუჭა კომუნისტებისა.

აზერბაიჯანი - მოსახლეობის უმრავლესობა მტრულადაა განწყობილი ბოლშევიკების მიმართ. ბაქოში განწყობა განსხვავებულია. აქ ცხოვრობს ბევრი საბჭოთა მოხელე და ზოგადად რუსი.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

კავკასიის მთიანეთში, კონკრეტულად დაღესტანში, პარტიზანები მუდმივად ებრძვიან ბოლშევიკებს, ეს საუკეთესოდ აღწერს იქ არსებულ ანტიბოლშევიკურ განწყობას.

სომხეთი - განწყობის თვალსაზრისით აქ სიფრთხილეა საჭირო. სომხეთი მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობს და რაც უფრო დიდია ეს საფრთხე დასავლეთის საზღვრიდან, მით უფრო მიიწევს რუსეთისკენ.

ვფიქრობ, რომ პოლონეთის სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის შესაძლებლობების ფარგლებში უნდა გავუწიოთ შემდეგი სახის დახმარება:

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

დიპლომატიური მოქმედება კავკასიის ქვეყნების მხარდასაჭერად საერთაშორისო არენაზე.

კავკასიის მომავალი არმიებისათვის ოფიცრების და სხვა კადრების მომზადება.

დახმარების სანაცვლოდ, ქართველმა მინისტრმა გვარჯალაძემ თავისი მთავრობის სახელით ჩვენს ელჩს შესთავაზა დაუყოვნებლივ მიანიჭოს პოლონეთს ყველა სახის ეკონომიკური პრივილეგიები კავკასიაში.

1 ივლისი 1922 წელი. ბობიცკი

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი,

სამხედრო ატაშე თურქეთში

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დოკუმენტი პოლონეთის ახალი ისტორიის არქივიდან, ფონდი 1190, საქმე A II 33, გვ. 198-203

კითხვები:

(1) **23.1.** დოკუმენტის მიხედვით, რომელი ორგანიზაციის დაქვემდებარებაში იყო ყოფილი სახალხო გვარდიისა და ჯარის დემობილიზებული ნაწილები?

(1) **23.2.** დოკუმენტის მიხედვით სრულად ჩამოთვალეთ ის საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები, რომლებში მომსახურე ქართველების იმედიც ჰქონდათ აჯანყების ორგანიზატორებს?

(1) **23.3.** დოკუმენტის მიხედვით, კავკასიის რომელ კონკრეტულ კუთხეში მიმდინარეობს მუდმივად შეიარაღებული ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ?

(1) **23.4.** დოკუმენტის მიხედვით, რა ეწოდება ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში შეიქმნა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთაგან?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **23.5.** თქვენი აზრით, რატომ არ შევიდნენ საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ შექმნილ ორგანიზაციაში კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები?

(1) **23.6.** დოკუმენტის მიხედვით, რა უნდა გაეკეთებინა პოლონეთს პოლიტიკური თვალსაზრისით?

(1) **23.7.** დოკუმენტის მიხედვით, რა უნდა გაეკეთებინა პოლონეთს სამხედრო თვალსაზრისით?

(2) **23.8.** დოკუმენტის მიხედვით დაასახელეთ რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობაშიც მკვეთრად განსხვავებული განწყობები იყო და დოკუმენტში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რა იყო ამ განსხვავების მიზეზი?

(2) **23.9.** დოკუმენტის მიხედვით, რა კონკრეტულ დახმარებას ელოდნენ აჯანყებულები აჯანყების დაწყების წინ საზღვარგარეთიდან და კონკრეტულად რომელი სახელმწიფოდან?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **23.10.** დოკუმენტის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი იყო აუცილებელი აჯანყების წარმატებისათვის და, თქვენი აზრით, რატომ იყო აუცილებელი ამ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი?

(2) **23.11.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიხედვით დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის ერთგულებაც შეიძლება შეენარჩუნებინა სომხეთს და რატომ იყო ეს საშიში კავკასიაში ანტიბოლშევიკური მოძრაობისათვის?

(2) **23.12.** დოკუმენტის მიხედვით, ვინ და რა სახის კომპენსაციას შეჰპირდა პოლონეთის მხარეს დახმარების სანაცვლოდ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე